



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ესკიზი

ესკიზი (ფრანგ. esquisse), მხატვრული ნაწარმოების (სურათი, ქანდაკება, არქიტექტურული პროექტი, თეატრის ან კინოს დეკორაცია და სხვ.) ან მისი რომელიმე ნაწილის ჩანახატი. ე. სრულდება გრაფიკულად, ფერწერულად ან სკულპტურულად. ე-ში გადმოცემულია ავტორის ძირითადი ჩანაფიქრი, მომავალი ნაწარმოების არსებითი და მნიშვნელოვანი მხარეები, კომპოზიცია, კოლორიტი, პროპორციები, რიტმი. დიდი მხატვრების (მიქელანჯელო, რემბრანდტი, რუბენსი, დელაკრუა და სხვ.) ე-ები მაღალმხატვრული ნაწარმოებებია. ქართველ მხატვართაგან აღსანიშნავია პ. ოცხელის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, ა. ქუთათელაძის, ს. ვირსალაძის, დ. ერისთავის ე-ები მონუმ.-დეკორ. მხატვრობის, ილუსტრაციების, თეატრ. და კინო-დეკორაციებისათვის, დაზგური ფერწერისა და გრაფ. ნიმუშებისათვის. ფართო მნიშვნელობით ე. ეწოდება სახვითი ხელოვნ. დაუმთავრებელ ნაწარმოებებს, რ-ებიც შესრულებულია წარმოსახვით ან ნატურიდან.
